

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №022/19¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თამარ წულუკიძე (სტუდენტი)

ფაქტები:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მ. ქ-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. ა-ს მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი დ.ა. ყალბი ანდერძის საფუძველზე ედავება მ. ქ-ს, მის საკუთრებაში რეგისტრირებულ ქონებას, ადვოკატმა სასამართლოს არ წარუდგინა და დაუმალა სახლის ტექნიკური პასპორტის პირველი გვერდი და ის უსაფუძვლოდ, მტკიცებულების გარეშე ედავება თავის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს.

სამართლებრივი შეფასება

ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლი 9.3). მან სასამართლოსთან ურთიერთობისას უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ სასამართლოსათვის ისეთი მტკიცებულებების მიწოდებას, რომლის ნამდვილობაშიც ადვოკატს ეჭვი არ ეპარება და წინასწარი შეცნობით არ შეჰყავს სასამართლო შეცდომაში. ადვოკატს უფლება აქვს, კლიენტის ინტერესების დასაცავად, გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლი 6.1). ადვოკატი ვალდებულია დაიცავს კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის სამოქალაქო დავა ჯერ არ დასრულებულა, ხოლო საჩივრის ავტორის მიერ გამოთქმული ვარაუდი, ანდერძის სიყალბის შესახებ არ დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მასალებით. საჩივრის ავტორის მიერ მოყვანილი გარემოების გამოკვლევა – ადვოკატის მიერ წინასწარი შეცნობით სასამართლოსათვის ყალბი მტკიცებულების წარდგენა, სცილდება ეთიკის კომისიის უფლებამოსილებას, მანამ სანამ დოკუმენტის სიყალბე დადგენილი არ იქნება სათანადო ორგანოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის მიერ ანდერძის სიყალბის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოდგენილა, შესაბამისად ეთიკის კომისიას არ აქვს ადვოკატის ქცევის შეფასების საშუალება. საადვოკატო საქმიანობა მოიცავს კლიენტის წარმომადგენლობას საკონსულტაციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში, მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2) ადვოკატის საქმიანობა მოიცავს კლიენტისადმი დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის ფარგლებს და ადვოკატს აკისრებს ვალდებულებებს კლიენტის მიმართ, ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. საჩივრის ავტორის პრეტენზიებთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია აღნიშნავს რომ ადვოკატი დ.ა. იცავს თავისი კლიენტის ინტერესებს და მოქმედებს კლიენტთან შეთანხმებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომისიის კომპეტენციაში არ შედის იმსჯელოს და შეაფასოს სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს

¹ https://gba.ge/pdf/5e61099d4977e.pdf/022_19%2015.05.19%20ar%20agdzvra.pdf

პროცესუალურად რამდენად სწორი იყო მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის პოზიცია. ადვოკატი, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის წარმომადგენელი, კლიენტთან შეთანხმებით, საკუთარი პროფესიული განსჯით განსაზღვრავს საქმის წარმოების ტაქტიკას და სტრატეგიას, კლიენტის წარმომადგენლობისას მისივე ინტერესების დასაცავად კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისი მტკიცებულებებისა და მოთხოვნების წარდგენის საკითხს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატ დ. ა-ის ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების შესაძლო დარღვევა და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.